



ენერჯეტიკის
სასწავლო ცენტრი

unicef 

თითოეული ბავშვისთვის

ანგარიში

პროექტის „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“

შედეგები

პროექტის განხორციელების არეალი: ბათუმი, ქუთაისი, ასპინძა, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ხაშური და გარდაბანი.

REPORT

PROJECT RESULTS ON “RAISING AWARENESS OF YOUTH OF THE REGIONS ON DRINKING WATER QUALITY AND WATER RESOURCES”

PROJECT IMPLEMENTATION AREA: BATUMI, KUTAISI, ASPINDZA, DEOPLISTSKARO, TETRITSKARO, KAZBEGI, KHASHURI AND GARDABANI.



ენერგეტიკის
სასწავლო ცენტრი

unicef 

თითოეული ბავშვისთვის

ანგარიში

პროექტის „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“

შედეგები

პროექტის განხორციელების არეალი: ბათუმი, ქუთაისი, ასპინძა, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ხაშური და გარდაბანი.

REPORT

PROJECT RESULTS ON “RAISING AWARENESS OF YOUTH OF THE REGIONS ON DRINKING WATER QUALITY AND WATER RESOURCES”

PROJECT IMPLEMENTATION AREA: BATUMI, KUTAISI, ASPINDZA, DEDOPLISTSKARO, TETRITSKARO, KAZBEGI, KHASHURI AND GARDABANI.

თბილისი 2022 TBILISI

ანგარიში მომზადდა პროექტის „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების“ ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და პარტნიორობით 2022 წელს.

ანგარიში შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის პოზიციას. გამომდინარე აქედან, გაეროს ბავშვთა ფონდი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე.

დოკუმენტზე მუშაობდნენ:

მარიამ იოსელიანი	ნუგზარ ბერიძე	ირაკლი გორდულაძე
ელეონორა ლაგვილავა	სალომე ჯანელიძე	გივი ნადირაძე
ქეთევან ბერიკაშვილი	თემურ თორდინავა	თორნიკე აფრიაშვილი

გამოცემის რედაქტორები: ირინე ინანიშვილი,
შოთა კენკაძე

The report was prepared within the framework of the project "Raising Awareness of Youth of the Regions on Drinking Water Quality and Water Resources".

The project was implemented by the Elizbar Eristavi Energy Training Center operating under the Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission, with the support and partnership of the United Nations International Children's Fund (UNICEF) in 2022.

The report may not reflect the position of the United Nations International Children's Fund. Accordingly, UNICEF is not responsible for the content of the document.

The document was prepared by:

Mariam Ioseliani,	Nugzar Beridze,	Irakli Gorduladze,
Eleonora Lagvilava,	Salome Janelidze,	Givi Nadiradze,
Ketevan Berikashvili,	Temur Tordinava,	Tornike Afriashvili

Editors of the publication: Irine Inaneishvili
Shota Kenkadze

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

Publishing House “UNIVERSAL”, 2022

ISBN 978-9941-33-385-9

შინაარსი/სარჩევი

1. პროექტის მნიშვნელობა და შედეგი	5
2. ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის შესახებ	5
3. გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ	6
4. პროექტის შესახებ	6
5. პროექტის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგის მეთოდოლოგია	6
6. ტრენინგებისა და საჯარო ლექციების პროცესში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები.....	8
7. ტრენინგ-კურსის კმაყოფილების დონისა და ტრენინგის პროცესის შეფასების შესახებ გამოკითხვის შედეგები	9
8. ძირითადი დასკვნები.....	13
9. ტრენინგ-კურსის შეფასებები და ინიციატივები მონაწილეთა მხრიდან	14

CONTENTS

1. Meaning and result of the project	24
2. About the Elizbar Eristavi Energy Training Center	24
3. About UNICEF	24
4. About project	25
5. Information meetings and training methodology implemented within the project.....	25
6. The main trends revealed in the process of trainings and public lectures	26
7. The results of the survey about the level of satisfaction of the training course and evaluation of the training process	27
8. Main conclusions	31
9. Evaluations of the training course and initiatives from the participants	32

1.

პროექტის მნიშვნელობა და შედეგი

პროექტი „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“ (შემდგომში – პროექტი) მნიშვნელოვანია თავისი შინაარსით. ერთი მხრივ, სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსებთან დაკავშირებული თემების გარშემო რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდებმა მიიღეს კვალიფიციური ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, მიღებული ცოდნის საფუძველზე, ამაღლდა აღნიშნულ საკითხებზე მოზარდების მოქალაქეობრივი თვითშეგნება. აღნიშნული ინიციატივა საგანმანათლებლო პროექტის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

პროექტის შედეგია ასევე ის, რომ ხელი შეეწყო მოზარდების ხედვისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებას წყლის რესურსებზე ზრუნვის, დაცვისა და ენერჯის გამომუშავების კუთხით პიდრორესურსების გამოყენების მნიშვნელობის მიმართ.

პროექტით გათვალისწინებულ აქტივობებში, ტრენინგებსა და საჯარო ლექციებში, მონაწილეობა მიიღო 8 სხვადასხვა თვითმმართველობის 400-ზე მეტმა მოსწავლემ 30 სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლიდან, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს პროექტის მასშტაბებსა და მნიშვნელობას.

ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის პოზიციას, რომ პროექტის რეალიზებით შეიქმნა პოზიტიური პრეცედენტი რეგიონებში მცხოვრები მოზარდების გააქტიურებისა და ჩართულობის გაზრდის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის ინიციატივების განხორციელება სხვა რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდებისთვისაც.

2.

ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის შესახებ

ა(ა)იპ „ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრი“ დაფუძნდა 2022 წლის 4 თებერვალს. ცენტრის დამფუძნებელია საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში – კომისია).

ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის მისიაა აქტიურად იყოს ჩართული იმ პრიორიტეტულ საქმიანობებში, რომლებიც მიზნად ისახავს: ენერჯეტიკის სექტორებში კვალიფიკაციის ამაღლებას, ქალთა ჩართულობის ზრდას, მიზნობრივი ჯგუფების ინფორმირების, ცნობიერებისა და ჩართულობის ამაღლებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კვლევების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, პოტენციური ინვესტორების სრულად ინფორმირებას. ცენტრის სტრატეგია ეფუძნება გამოცდილებას, ცოდნასა და პროფესიულ მიდგომებს. ცენტრი ფოკუსირებულია სხვადასხვა პროექტის განხორციელებით ეფექტიანი შედეგების მიღებაზე ენერჯეტიკასა და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით.

ცენტრმა დაარსებიდან დღემდე უზრუნველყო 6 სხვადასხვა სასწავლო კურსის წარმატებით ორგანიზება და განხორციელება, პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან მჭიდრო კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ამჟამად, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ცენტრში მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტი. ცენტრს ხელმძღვანელობენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ მრავალწლიანი გამოცდილება ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების სექტორების რეგულირების საკითხებში.

3.

გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), 70 წელზე მეტია, საქმიანობას ახორციელებს მსოფლიოს ყველაზე რთულ რეგიონებში, რათა დაეხმაროს მსოფლიოს ყველაზე მოწყვლად ბავშვებს. 190-ზე მეტ ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში ფონდი მუშაობს ყოველი ბავშვისთვის ყველაზე მაღალ, რათა ააშენოს უკეთესი მსოფლიო ყველასთვის. იუნისეფი, 20 წელზე მეტია, ეხმარება საქართველოს მთავრობას ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. მისი მიზანია, დაეხმაროს ყველაზე დაუცველ ბავშვებს, ხელი შეუწყოს მათ გაძლიერებასა და სოციალურ ინკლუზიას, შეამციროს უთანასწორობა, რაც უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვებსა და მათ ოჯახებზე.

4.

პროექტის შესახებ

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, სემეკთან არსებულმა ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრმა პროექტი საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში განახორციელა, კერძოდ: ბათუმში, ქუთაისში, ასპინძაში, დედოფლისწყაროში, თეთრიწყაროში, ყაზბეგში, ხაშურსა და გარდაბანში.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა:

- სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის, როგორც ენერჯის წყაროს, საკითხებში რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ინფორმირების დონის ამაღლება;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის თემებით;
- წყლის რესურსებზე ზრუნვისა და დაცვის იდეის გაძლიერება;
- ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად მდგრადი მექანიზმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ინიციატივის შედეგად 400-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო ინფორმაცია სასმელი წყლის ხარისხისა და რესურსების შესახებ. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ასევე საჯარო ლექციები თემებზე: „ენერგეტიკის სექტორში ქალების როლის გაძლიერება“ და „ენერგეტიკოსი, როგორც მომავლის პროფესია“. პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ რეგიონებში მცხოვრები 14-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლე-ახალგაზრდები.

5.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგის მეთოდოლოგია

პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდა საინფორმაციო შეხვედრები სამიზნე რეგიონებში. შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის მიზნების, ამოცანებისა და დაგეგმილი ღონისძიებების, ასევე ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის შესახებ.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი ამავდროულად გახლდათ აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ პროექტით დაგეგმილ აქტივობებში მხარდაჭერისა და პარტნიორობის უზრუნველყოფა, მათ შორის, დაგეგმილი ტრენინგების ორგანიზება, ტრენინგში მონაწილეთა მობილიზება და სხვა ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლების დირექტორებმა.

პროექტის შემდგომ ეტაპზე პროექტის გუნდის მიერ, მეთოდოლოგიის შესაბამისად, შემუშავდა ტრენინგ-კურსის მოდული და ტრენინგების ჩატარების დეტალური გეგმა-გრაფიკი. თითოეული მოდულის შემთხვევაში განისაზღვრა თემები და საკითხები, რომელთა შესახებაც ჩატარდებოდა ტრენინგები სამიზნე რეგიონებში.

ტრენინგების განხორციელების მეთოდოლოგია დაეფუძნა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ტრენინგთა გამოცდილება;
- ტრენინგების მასალების მაღალი ხარისხი, პრაქტიკულობა და გამოყენებადობა;
- პროცესის ინტერაქტიულობა;
- დროის ეფექტური მართვა.

ტრენინგ-კურსის მიზანი იყო მონაწილეებისთვის, ერთი მხრივ, ცოდნის, გამოცდილების, მიდგომების გაცნობა ტრენინგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, მსმენელთა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების ამაღლება.

ტრენინგის ჩატარებისას ყურადღება გამახვილდა მსმენელების ინფორმირებულობის ამაღლებასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

ტრენინგში გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი: პრეზენტაცია, ჯგუფური, ინდივიდუალური დავალებები და სამუშაოები, ქვისების განხილვა, პრაქტიკული მაგალითები, თემატიკის შესაბამისი კითხვების დასმა და დისკუსია, ენერჯაიზერი, როლური თამაშები, ფასილიტაცია და უკუკავშირი.

ტრენინგ-კურსის მოდულში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი საკითხები:

- **დროის მონაკვეთი:** თითოეული მოდულისათვის გათვალისწინებული იყო დრო;
- **ტრენინგის თემები და აქტივობები:** თითოეული მოდული მოიცავდა კონკრეტულ თემებსა და აქტივობებს;
- **მეთოდოლოგია:** განისაზღვრა თითოეული მოდულის შესაბამისი მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები;
- **დავალებები:** თითოეულ მოდულს გააჩნდა ტრენინგის მსვლელობისას განსახორციელებელი სავარჯიშოები/დავალებები;
- **ინსტრუქციები:** ტრენინგის მსვლელობისას დავალებების კომპონენტის ჩათვლით მონაწილეებს მიენოდებოდა ზეპირი და წერილობითი ინსტრუქციები ტრენინგების მხრიდან;
- **ტრენინგის მსვლელობა:** თითოეული მოდულისათვის უზრუნველყოფილი იყო პროცესის მაქსიმალური ინტერაქტიულობა;
- **ტრენინგის მასალები:** ტრენინგ-კურსის მასალების ელექტრონული ვერსიები დაეგზავნა მონაწილეებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ მონაწილე მოსწავლე-ახალგაზრდებს გადაეცათ ორენოვანი სერტიფიკატები.

6.

ტრენინგებისა და საჯარო ლექციების პროცესში გამოვლენილი ძირითადი ტენდენციები

სამიზნე თვითმმართველობებში პროექტის გუნდის მიერ განხორციელებული სამუშაო შეხვედრების პროცესებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრების, სკოლებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლებმა. პროექტის საწყის ეტაპზე ამ შეხვედრებზე გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ტენდენციები, კერძოდ:

- პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები შეფასდა, როგორც მნიშვნელოვანი, საჭირო და დროული ინიციატივა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის;
- ენერგეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივმა ინიციატივამ თავიდანვე შექმნა განსახორციელებელი პროექტისადმი კეთილგანწყობის, ნდობისა და მხარდაჭერის ატმოსფერო;
- გამოიკვეთა პროექტში ჩართული სკოლების პედაგოგებისა და პროექტის არამონაწილე სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის მსგავსი საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების მიზანშეწონილობა;
- წარმოჩნდა წყალმომარაგების ორგანიზაციებსა და ენერჯის მწარმოებელ საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი საქმიანობა-ფუნქციონირების პრაქტიკულ ასპექტში გაცნობის საჭიროება.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი მიგნებები და ტენდენციები, კერძოდ:

- თვითმმართველობებში, სადაც გაუარესებულია წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, მსმენელები უფრო გათვითცნობიერებული არიან წყალმომარაგების სისტემებთან დაკავშირებულ საკითხებში. ამ რეგიონებში მსმენელებს უფრო მეტად აინტერესებთ საკანონმდებლო ჩარჩო, რაც არეგულირებს მიწოდებული სერვისის დონეს და საინვესტიციო პროექტების დაგეგმარება/განხორციელების ეტაპებს;
- ქალაქებში, სადაც 24-საათიანი უწყვეტი მომარაგებაა და სისტემების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მსმენელები უფრო მეტად დაინტერესდნენ წყალმომარაგების სისტემების მუშაობის პრინციპითა და ტარიფების დათვლის სპეციფიკით;
- ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მსმენელთა ინტერესი იმდენად მაღალი აღმოჩნდა განხილული საკითხებისადმი, რომ მათგან ტრენინგებმა პოზიტიური უკუკავშირი მიიღეს, კერძოდ, მოსწავლეებმა ითხოვეს მეტი ინფორმაციის მიწოდება წყალთან დაკავშირებულ თემებზე და დაინტერესდნენ სამომავლო პერსპექტივით იმ შემთხვევაში, თუ განათლების შემდგომ საფეხურზე წელისა და ენერგეტიკის სფეროებში არსებული პროფესიების დაუფლებას გადაწყვეტდნენ;
- ტრენინგების ფარგლებში ცალკეულ ქალაქებში ადგილობრივი წყალმომარაგების კომპანიების წარმომადგენლებთან გაიმართა შეხვედრები, სადაც განხილულ იქნა მიმდინარე პრობლემები და კომპანიების სამომავლო ხედვები. აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მსმენელთა ცნობიერების კიდევ უფრო მეტად ამაღლებას;
- ქ. ბათუმში ტრენინგის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა „ბათუმის წელის“ გენერალურ დირექტორთან და მიღწეულ იქნა შეთანხმება „ბათუმის წელის“ საკვანძო ინფრასტრუქტურაზე მოსწავლეების პერიოდულ ვიზიტებთან დაკავშირებით;
- პროექტის სამიზნე რეგიონებში, სადაც არის ჰიდროელექტროსადგურები, მსმენელების მხრიდან იყო საკმაოდ მაღალი დაინტერესება, ვინაიდან ვიზუალურად ხედავდნენ საწარმოს და არ ჰქონდათ ინფორმაცია, რა პრინციპით ხდებოდა ენერჯის გამომუშავება;
- თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მსმენელების მხრიდან მაღალი იყო ინტერესი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
- საკმაოდ მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა არსებული ჰიდროელექტროსადგურებისა და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების შესახებ გამართული დისკუსიები;
- მსმენელების მხრიდან ხშირად აღინიშნებოდა, რომ ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისთვის საქართველოში მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკის განვითარება;
- მაღალი იყო ინტერესი ელექტროენერჯის ტარიფების ფორმირებისა და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების აშენების შემდგომ ელექტროენერჯის ტარიფზე მათ ზეგავლენასთან დაკავშირებით;

- რამდენიმე მუნიციპალიტეტში მსმენელების მხრიდან გამოითქვა სურვილი სამომავლოდ ენერგეტიკის პროფესიის არჩევის შესახებ.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა საჯარო ლექციები ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ბათუმში. საჯარო ლექციების თემებს წარმოადგენდა:

- ქალების როლის გაძლიერება ენერგეტიკის სფეროში;
- ენერგეტიკოსი, როგორც მომავლის პროფესია.

საჯარო ლექციების მიმართულებით ძალიან მაღალი ინტერესი გამოიხატა და მსმენელთა რაოდენობამ ორივე ქალაქში 200-ს გადააჭარბა. მაღალი ინტერესი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

- ლექტორებს წარმოადგენდნენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმატებული და, ამავდროულად, ენერგეტიკის სფეროში წლების სამუშაო გამოცდილების მქონე პირები;
- თემები მოსწავლე ახალგაზრდებისთვის სწორად იყო შერჩეული და მათთვის საინტერესოდ მიწოდებული;
- აუდიტორიას, რომელიც საჯარო ლექციებში ღებულობდა მონაწილეობას, ძირითადად წარმოადგენდნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც გაიარეს ტრენინგ-კურსი პროექტის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, მათი მოტივაცია, ინტერესი და მოლოდინი მაღალი იყო საჯარო ლექციებთან დაკავშირებით.

ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის პოზიციას, რომ აღნიშნული საჯარო ლექციები ახალგაზრდებისთვის გახდება ენერგეტიკით დაინტერესებისა და ამ მიმართულებით მეტი ინფორმაციის მიღების სურვილის წინაპირობა.


7.

ტრენინგ-კურსის კმაყოფილების დონისა და ტრენინგის პროცესის შეფასების შესახებ გამოკითხვის შედეგები


წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ ტრენინგ-კურსის კმაყოფილების დონისა და ტრენინგის პროცესის შეფასებისთვის განხორციელდა კვლევა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 14-დან 17 წლამდე პროექტის მონაწილე მოსწავლეები შემდეგი თვითმმართველობებიდან: ბათუმი, ქუთაისი, ასპინძა, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ხაშური და გარდაბანი. რაოდენობრივი კვლევის მთავარ მეთოდს წარმოადგენდა გამოკითხვა, რომლის ძირითადი ინსტრუმენტი იყო სტანდარტიზებული კითხვარი. რაოდენობრივი მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულ იქნა ონლაინ-გამოკითხვის ფორმა Google Forms. გარკვეულ კითხვებთან დაკავშირებით რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეფასება მოეხდინათ 5-ქულიანი სისტემის საშუალებით, სადაც 1 ნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას, ხოლო 5 – ყველაზე მაღალს.

ჯამში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 140-მდე რესპონდენტმა. გენდერული კუთხით კვლევაში მონაწილე რესპონდენტები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: 63 % – გოგონები და 37 % – ბიჭები. რაც შეეხება გამოკითხვაში სკოლების ჩართულობას, 87% არის საჯარო სკოლის მოსწავლეები და 13 % – კერძო სკოლის მოსწავლეები.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კვლევაში მონაწილეობა თითქმის თანაბარი აქტივობით გამოირჩეოდა, რაც იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ პროექტის უკუკავშირის თვალსაზრისით, ყველა რეგიონი აქტიურობით ხასიათდება.




შეკითხვაზე, თუ რამდენად არიან რესპონდენტები კმაყოფილი ჩატარებული ტრენინგ-კურსით, შედეგების მიხედვით, რესპონდენტების 97,8 % მაღალ კმაყოფილებას გამოხატავს. აღნიშნული მაჩვენებლით იკვეთება პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების მაღალი ეფექტიანობა.




რესპონდენტების 100 %-ისთვის ტრენინგებზე განხილული საკითხები წარმოადგენს სიახლეს, რაც ადასტურებს იმას, რომ ტრენინგ-კურსისთვის შერჩეული თემები რელევანტური იყო მსმენელებისთვის.

დიაგრამა 3. ტრენინგებზე განხილული საკითხების სიახლე




რესპონდენტების 99.3 %-ის შეფასებით, ტრენინგ-კურსის განმავლობაში მიწოდებული ინფორმაცია იყო ხარისხიანი, რაც მეტყველებს ტრენინგ-მასალების მაღალ ხარისხსა და ტრენერების მაღალ უნარ-ჩვევებზე.

დიაგრამა 4. ტრენინგზე მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი




რესპონდენტების 100 % ტრენერთა კვალიფიკაციას ძალიან კარგად აფასებს, რაც ტრენერთა გუნდის სწორად შერჩევას და ტრენერების მაღალ კვალიფიკაციას ნარმოაჩენს.



გამოკითხვაში მონაწილეების 98,5 პროცენტი ტრენინგ-კურსის ორგანიზების მიმართულებას ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს. აღნიშნული მიუთითებს ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის გუნდის მხრიდან პროექტის აქტივობების ეფექტურად დაგეგმვასა და პროცესის მაღალორგანიზებულად იმპლემენტაციაზე.


გამოკითხულთა 99 % რეკომენდაციას უწევს აღნიშნული ტრენინგ-კურსის ჩატარებას საქართველოს სხვა რეგიონებსა და სკოლებში, რაც ხაზს უსვამს პროექტის აქტუალობას და ინტერესს წყლის საკითხებთან დაკავშირებით.



რესპონდენტებმა შეკითხვაზე, ტრენინგები სასწავლო დღეებში, გაკვეთილების დასრულების შემდეგ ჩატარდეს თუ დასვენების დღეებში, შაბათ-კვირას, შემდეგნაირად უპასუხეს:

52,2 % ფიქრობს, რომ უმჯობესია ჩატარდეს სასწავლო დღეებში, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, ხოლო 47,8% უპირატესობას ანიჭებს დასვენების დღეებს, შაბათ-კვირას.

შეკითხვაზე, წყალთან დაკავშირებით რა ახალ საკითხებზე ისურვებდნენ რესპონდენტები ტრენინგებს, გამოკითხვის შედეგმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ტენდენცია, ის, რომ მათ წყალსა და, ზოგადად, ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხები თითქმის თანაბრად აინტერესებთ. აღნიშნული მიუთითებს პროექტით დაგეგმილი შედეგის მიღწევაზე.



8. ძირითადი დასკვნები

პროექტი „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“ საჭირო ინიციატივაა რეგიონის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის. პროექტის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ:

- მონაწილეთა შეფასებით, ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივა მაღალორგანიზებული და შედეგიანი აქტივობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინებაა;
- პროექტის მდგრადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი შედეგია სასმელი წყლის საკითხებთან დაკავშირებული ინიციატივები, რომლებიც ტრენინგ-კურსის დასრულების შემდეგ ჩართული სკოლების მოსწავლეებისა და პედაგოგების მხრიდან ერთობლივად განხორციელდა ან დაიგეგმა (დეტალურად იხილეთ ქვეთავში „ტრენინგ-კურსის შეფასებები და ინიციატივები მონაწილეთა მხრიდან“);
- ახალგაზრდებმა ტრენინგების საშუალებით მიიღეს ახალი ცოდნა, რაც დასტურდება გამოკითხვის შედეგებით და მათი მხრიდან გაკეთებული შეფასებებით. პარალელურად, მათ ინფორმირებას ხელი შეუწყო ადგილობრივი წყალმომარაგების კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრებმა, რომელთა ორგანიზებასაც ახდენდა ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრი;
- გამოიკვეთა წყალმომარაგების ორგანიზაციებსა და ენერჯის მწარმოებელ საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და მათი საქმიანობა-ფუნქციონირების პრაქტიკულ ასპექტში გაცნობის საჭიროება.
- პროექტში ჩართული ახალგაზრდების 99 %-ის რეკომენდაციაა, მსგავსი ტიპის ტრენინგ-კურსები ჩატარდეს საქართველოს სხვა რეგიონებსა და სკოლებში. აღნიშნული ხაზს უსვამს პროექტის აქტუალობას, საჭიროებას და მაღალ ინტერესს წყლის საკითხებთან დაკავშირებით;
- მონაწილეთა მხრიდან პროცესის განხორციელების კუთხით გაკეთებული შეფასებები და მაღალი კმაყოფილების მაჩვენებელი (97 %) მეტყველებს პროექტის აქტივობების ეფექტურად დაგეგმვასა და პროცესის ეფექტიანად იმპლემენტაციაზე;

- გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომ წყალსა და, ზოგადად, ენერგეტიკასთან დაკავშირებული საკითხები საინტერესოა ახალგაზრდობისთვის, მიუთითებს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე;
- პროექტის სამიზნე რეგიონებში, სადაც არის ჰიდროელექტროსადგურები, მსმენელების მხრიდან მაღალი დაინტერესება თემით „წყალი, როგორც ენერჯის წყარო“, მიუთითებს აღნიშნულ საკითხებზე ახალგაზრდობის ინფორმირების გაზრდისა და გაფართოების აუცილებლობაზე;
- პროექტის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მეორე პირების სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობა;
- პროექტში ჩართული მოსწავლე-ახალგაზრდობის, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან უკუკავშირი, რაც გამოიხატა მათ მიერ საკითხის მიმართ დაინტერესებითა და შეფასებებით, წარმოადგენს მნიშვნელოვან მოტივაციას პროექტის გუნდისთვის.

9. ტრენინგ-კურსის შეფასება და ინისიატივები მონაწილეთა მხრიდან

ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, სემეკთან არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტი „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ რეგიონების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“ მნიშვნელოვანი ინიციატივაა ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის.

დაბა ასპინძის საჯარო სკოლაში შექმნილია წრე „ეკო-კლუბი“. ტრენინგები იმდენად საინტერესო იყო ბავშვებისათვის, რომ ასპინძის საჯარო სკოლიდან მონაწილე ბავშვებმა (ანა ზედგინიძემ, ხატია გიორგაძემ, ჯარჯი მაგრაქველიძემ, მარიამ თედორაძემ, ნიკა გვარამაძემ და ნინო ბაბელაშვილმა) სკოლის მასწავლებელ მთვარისა ზედგინიძესთან ერთად გააკეთეს პროექტი „სუფთა წყალი“. ბავშვებს ჩაუტარდათ გასვლითი სწავლება სოფელ ოთაში, სადაც ჩამოედინება მდინარე „ოთა“. აღნიშნული მდინარე არის დაბა ასპინძისა და სოფელ ოთის მთავარი სასმელი წყლით მომარაგებელი.

სკოლაში ასევე არსებობს წრე „ახალგაზრდული იდეა“, რომლის ხელმძღვანელია ანა ზედგინიძე, ტრენინგის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მან პრეზენტაცია წარადგინა და განიხილა თანატოლებთან სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების აუცილებელი პირობები.

ტრენინგში ჩართული სკოლების ადმინისტრაციასთან ერთად განვიხილეთ ის რისკები და პირობები, რომლებიც სასმელი წყლის მოხმარებასთან არის დაკავშირებული. სკოლებმა მადლობა და მადლიერება გამოხატეს ტრენინგის ყველა ეტაპზე, ბავშვებს მოეწონათ ტრენინგები, მათი განათლებისა და წარმოდგენილი მასალის დონე. ტრენინგები საუკეთესოდ იყო დაგეგმილი და ჩატარებული. ასევე სწორად იყო გათვლილი დრო.

ასპინძის რესურსცენტრსა და სკოლებს აქვთ სურვილი, სამომავლოდ ითანამშრომლონ სემეკთან არსებულ ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრთან.

თორნიკე შიოლაშვილი
სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის
საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

ძალიან საინტერესო იყო დაგეგმილი ტრენინგი, სხვა რაკურსით დავინახე წყლის რესურსების მართვის პროცესი. გავაანალიზე, თუ რა დიდი დანაკარგი, როცა ონკანიდან ფუჭად მოედინება წყალი. გავაცნობიერე, რომ თითოეული ჩვენგანის ვალია, მაქსიმალურად მოვუფრთხილდე ჩვენი სამშობლოს მდიდარ ბუნებას. სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩვენი ქვეყანა წყალუხვია და ეს რესურსი გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენს რაიონში ბოლო წლებში მომრავლებული ჰესების (ჰიდროელექტროსადგურების) მშენებლობა და ფუნქციონირება წინგადადგმული ნაბიჯია სამომავლოდ დასაქმების კუთხით, რაც ახალგაზრდებში მოტივაციას ზრდის.

ასეთი ტრენინგების ეტაპობრივად დაგეგმვა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და დაინტერესებას, გაუფრთხილდეს ჩვენი სამშობლოს მდიდარ ბუნებრივ რესურსებს.

ნინო ჩიკვაშვილი
სკოლა „პროგრესის“ ქსელის ბრენდის ავტორი,
დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი

ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესის“ ქსელი, რომელიც განთავსებულია ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში, მუდმივად უჭერს მხარს ახალგაზრდების განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს. ამჯერად, ბათუმის „პროგრესის“ სახელით, სიამოვნებით ჩავერთეთ პროექტის „სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება“ ორგანიზებაში.

პროექტის მიმართ ბათუმის სკოლების მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოავლინეს, რაც მიუთითებს ტრენინგების მაღალ ხარისხზე, ტრენინგების კვალიფიციურობასა და, ზოგადად, ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის გუნდის მაღალ პროფესიონალიზმზე. ისინი პროექტის ბენეფიციარებთან თანამშრომლობას პროექტის დასრულების შემდეგაც აგრძელებენ და მუდმივად აძლევენ მათ ენერგეტიკის სფეროში არსებული სიახლეების გაცნობის შესაძლებლობას.

სკოლა „პროგრესის“ ქსელი სიამოვნებით გააგრძელებს ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერას ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლების საქმეში.

დავით რუსია
ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მე-11 კლასის მოსწავლე

ტრენინგები ძალიან საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა. ოთხი დღის განმავლობაში უამრავი ინფორმაცია მივიღე სასმელ წყალთან დაკავშირებით. დავფიქრდი საკითხებზე, რომლებზეც აქამდე არ მიფიქრია. მაგალითად, როგორ გამოვიყენოთ წყალი გონივრულად და როგორ გავუფრთხილდე ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ მარაგებს. გავიაზრე ის, რომ ბუნებრივი მარაგის არაგონივრული და არაეკონომიური გამოყენება საფრთხეს უქმნის ჩვენს მომავალ თაობას, მის არსებობას და განვითარებას. მადლობა ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს საინტერესო ტრენინგისთვის!

მართა თოდუა
ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მე-9 კლასის მოსწავლე

ტრენინგები ძალიან საინტერესო იყო, თემა კი – ნამდვილად მნიშვნელოვანი. ჩვენი ქვეყანა წყალუხვია და ამ რესურსს გონივრული გამოყენება სჭირდება. აქამდე არასდროს დავფიქრებულვარ, რა ზიანის მოტანა შეუძლია წყლის არაგონივრულ გამოყენებას. მომეწონა ის, რომ ტრენინგმა დაგვაფიქრა სამომავლო პერსპექტივაზეც. ვგულისხმობ ჰესების მშენებლობას. ადრე ამ საკითხს ცოტა განსხვავებულად ვუყურებდი, ტრენინგის შემდეგ კი აზრი შემეცვალა.

ტრენერის მიერ მონოდებული ინფორმაცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო ტრენერი – კვალიფიციური. კმაყოფილი ვარ ტრენინგის პროცესის ორგანიზებით. ვისურვებდი, რომ სხვა საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვისაც ჩატარდეს მსგავსი შეხვედრები, რათა ახალგაზრდებს აუმაღლდეთ ცნობიერება სასმელი წყლისა და, ზოგადად, ბუნებრივი მარაგის შესახებ.

გვანცა მაღალდაძე
სსიპ ვალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის
N6 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ტრენინგი ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. გააზრებული მქონდა, რომ წყალი უნიკალური სასიცოცხლო მნიშვნელობის ნივთიერებაა, მაგრამ აქამდე არ დავფიქრებულვარ ადამიანების დაუდევარ საქციელზე, რაც საფრთხეს უქმნის სასმელი წყლის მარაგს დედამიწაზე. გავაცნობიერე, საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნებისთვის როგორ და რატომ უნდა დავზოგოთ წყალი. ასეთი ტრენინგების ჩატარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და დაინტერესებას, გაუფრთხილდნენ ჩვენი სამშობლოს მდიდარ ბუნებრივ რესურსებს.

პაპუნა კოკაური
სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის
N3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ძალიან საინტერესო იყო ტრენინგი, გავეცანით საინტერესო ფაქტებს წყლის რესურსებით სარგებლობის შესახებ. მივიღეთ ინფორმაცია სასმელი წყლის საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის მოხმარებისა და მისი ხარისხის შესახებ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მსოფლიოში. ტრენინგი საინტერესოდ წარიმართა პრეზენტაციებით და პრაქტიკული მაგალითების განხილვით.

დალი ბროლიძე
სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის
დაბა სურამის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი

ჩვენს სკოლაში საინტერესო საქმიანობას ვახორციელებთ გარემოსდაცვითი განათლების კუთხით და ვცდილობთ მოსწავლეებს გავაცნოთ მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის მე-6 მიზანი – „წყლის რესურსების მდგრადი მართვისა და სანიტარიაზე ხელმისაწვდომობის საყოველთაო უზრუნველყოფა“. ამიტომ დავინტერესდით ტრენინგის თემატიკით და ხალისით ჩავრთეთ მოსწავლეები. ტრენინგზე მოსწავლეები გაეცნენ წყლის მნიშვნელობას ჩვენს პლანეტაზე, წყლის დაცვისა და დაზოგვის საჭიროებას და მნიშვნელობას, ამაღლდა მათი თვითშეგნება გარემოსდაცვის კუთხით, განუვითარდათ ისეთი უნარები, როგორებიცაა: დისკუსიის წარმართვა, მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, საკუთარი აზრის გამოხატვა და დაცვა.

ნინო გოგოჩაშვილი
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

პროექტი მომეწონა, რადგან ბევრი ახალი რამ გავიგე წყლის შესახებ, რაც აქამდე არ ვიცოდი. მაგალითად, გავიგე, რატომაც მნიშვნელოვანი წყლის სწორად გამოყენება და რა ზიანი შეიძლება მოგვაცენოს არასწორად და ფუჭად დაღვრილმა წყლის რესურსმა. ჩემი აზრით, ბევრი მსგავსი ღონისძიება უნდა ჩატარდეს, რათა მოსახლეობამ აიმაღლოს ცოდნა წყლის რესურსის შესახებ. წყლის დაცვა ჩვენი მოვალეობაა, რადგან წყალი ჩვენ გვაცოცხლებს.

მარიამ გოგიჩაიშვილი
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ძალიან მომეწონა პროექტი. წყალი სიცოცხლისთვის აუცილებელი რესურსია და ამგვარი შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად. ამ პროექტის დახმარებით ბევრი ახალი ინფორმაცია მივიღე და ბევრი რამის შესახებ აზრი შემიცვალა. ამის შემდეგ ვცდები მიღებული ინფორმაცია სხვასაგვარად და ერთად შევეცადოთ წყლის რესურსების დაცვას.

ანზორ ოსაძე
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

პროექტის ფარგლებში გავიგე, რატომ იქმნება წყლის დეფიციტი სეზონების მიხედვით, ავიმალე ცოდნა და დავინწყე წყლის მაქსიმალურად ეკონომიურად და პროდუქტიულად გამოყენება.

ცისია მახარობლიძე
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო პროექტი „სუფთა წყალი“, ვინაიდან მისი დახმარებით შევიტყვე უამრავი საინტერესო და ჩემთვის უცნობი ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა გამეცნობიერებინა წყლის, როგორც რესურსის, მნიშვნელობა.

ლიზი სახვაძე
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

პროექტი ძალიან მომეწონა, რადგან ჩემთვის ნათელი გახდა, თუ რამხელა გზას გადის წყალი, სანამ ჩვენამდე მოაღწევს და რამდენი შრომაა საჭირო ამისათვის. გავიგე უამრავი რამ წყლის რესურსის შესახებ, რაც აქამდე არ ვიცოდი. ამ პროექტმა მასწავლა, რომ წყლის მოვლა და გაფრთხილება ჩემი მოვალეობაა.

ლიკა ხომასურიძე
სსიპ ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

პირველ რიგში, მომეწონა ის ფაქტი, რომ პროექტმა მოგვცა შესაძლებლობა, ჩავრთულიყავით სხვადასხვა დისკუსიაში, გავიგე და ვისწავლე ბევრი ახალი რამ, რაც, ჩემი აზრით, ყველამ უნდა იცოდეს წყლის შესახებ.

ნინო ნოზაძე
სსიპ ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის
N 2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ჩვენი სკოლიდან 5 მოსწავლე ვესწრებოდით ტრენინგს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ტრენინგის თემატიკა, რამეთუ წყალი არის ბიოსფეროში გავრცელებული უმნიშვნელოვანესი ქიმიური ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს სასიცოცხლო პროცესებს და თავად განაპირობებს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას. ტრენინგზე გამოიკვეთა პრობლემა, რომ ადამიანის გარემოზე ზემოქმედების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი წყლის დაბინძურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა უმეტესობას ძალიან კარგად ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს წყალს პლანეტაზე სასიცოცხლო გარემოს შექმნისა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის, წყლის რესურსებისადმი არასწორი დამოკიდებულება კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ გარემოსდაცვით გამოწვევად.

პლანეტის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის წყლის სიმცირე და სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მიგვანიშნებს იმაზე, რომ სერიოზული მუშაობა და დიდი ძალისხმევა გვჭირდება წყლის რესურსების დასაცავად.

ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია წყლის დაზოგვის შესახებ. რაც უფრო მეტ წყალს დაზოგავს ადამიანი, მით უფრო მეტი დარჩება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროსთვის, რაც შეამცირებს დედამიწაზე ეკოლოგიურ პრობლემებს.

მაკა კაჭკაჭიშვილი
ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახურის უფროსი (ქუთაისი, ბათუმი, თბილისი)

პროექტის მონაწილეებისთვის უფრო თვალსაჩინო გახდა ენერგეტიკოსის, როგორც პროფესიის, აქტუალობა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ პროფესიის პოპულარიზაციას ახალგაზრდობაში. მოსწავლეებმა განსხვავებული ჭრილით დაინახეს წყლის, როგორც რესურსის, მახასიათებლები და მნიშვნელობა. ბევრ „პროგრესელს“ გაუჩნდა ინოვაციური იდეა, რასაც მენარმეობისა და STEAM პროექტების ფარგლებში განახორციელებენ. ამ პროცესს აქტიურად დაუჭერს მხარს სკოლა „პროგრესის“ ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური.

გიორგი ქავთარაძე
სსიპ - ქალაქ ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

პანდემიის დროს საქართველოში შემცირდა ტრენინგ-სემინარები. ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო თანატოლებთან ერთად ფიზიკურ გარემოში ასეთი საინტერესო ტრენინგის მოსმენა.

თითოეულმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რა მნიშვნელობა აქვს წყალს სამყაროში. ნებისმიერი ადამიანის ვალია იზრუნოს, დაიცვას და სწორად გამოიყენოს წყლის რესურსი. ტრენინგის შემდეგ შევეცადე, რომ მიღებული ინფორმაცია გამეზიარებინა ჩემი თანატოლებისთვის.

მადლობა ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს ამ შესაძლებლობისთვის!

ალექსანდრე კუხიანიძე
ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მე-9 კლასის მოსწავლე

ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის ძალიან ნაყოფიერი იყო ენერგეტიკის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ დამაინტერესებდა და მომეწონებოდა. ენერგეტიკა, როგორც დარგი, არ მიზიდავს, მაგრამ ტრენინგებიდან ბევრი ახალი და საინტერესო რამ გავიგე. ვფიქრობ, ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ბევრი ბავშვი გადაწყვეტს ენერგეტიკოსის პროფესიის არჩევას. პროექტის ფარგლებში გავიცანი სხვა სკოლების მოსწავლე ჩემი თანატოლები, რითაც განსაკუთრებულად დამამახსოვრდება ეს დღეები.

ანანო რობაქიძე
ქართულ-ამერიკული სკოლა „პროგრესის“ მე-9 კლასის მოსწავლე

მონაწილეობას ვიღებდი ტრენინგში. ჩვენ გავცვანი და კარგად შევისწავლეთ სასმელად ვარგისი წყლის რესურსები და მათი გამოყენება, წყლის ხარისხი და ხელმისაწვდომობა, მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, წყალმომარაგების სისტემა და მისი ტარიფები. ტრენინგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტრენინგის საუბრით. მსმენელებიც აქტიურად ვიყავით ჩართული პროცესში. გვქონდა Case

Study, რომელიც ძალიან მომეწონა. მოგვეცა შესაძლებლობა, შევხვედროდით და გავსაუბროდით საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორს, ბატონ ალექსო მებურიშვილს. მისგან მოვისმინეთ წყალმომარაგების ისტორია და ის, თუ როგორ მუშაობს სისტემა ახლა. ტრენინგი იყო მრავალფეროვანი, შემეცნებითი და სახალისო.

თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ტრენინგის პროცესში მოსწავლეების მოლოდინი გამართლდა, ვინაიდან იგი საინტერესო და მათთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ტრენინგში, რომელიც სწორედ რომ დროული და საჭირო იყო, ვინაიდან საუბარი ეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან რესურსს, როგორცაა წყალი.

სასურველია, ასეთი სახის ტრენინგები სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვისაც ჩატარდეს, რათა მათ ისწავლონ წყლის რესურსის სწორად გამოყენება და აიმაღლონ ცნობიერება სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ.

დალი გაბრიჭიძე სსიპ ვასილ ბარნოვის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ვიმედოვნებ, რომ ეს ტრენინგი დიდ წვლილს შეიტანს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაში წყლისა და მისი რესურსის სწორად გამოყენების კუთხით და დაეხმარება მათ მომავალი პროფესიის არჩევაში. ჩვენი სკოლა ყოველთვის მხარს უჭერს მოსწავლეების არაფორმალურ განათლებას მსგავსი პროექტების საშუალებით და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ.

მინდა მადლობა გადავუხადო ტრენინგის ორგანიზატორებს, რადგან მიეცათ საშუალება ჩვენი სკოლის მოსწავლეებს, მიეღოთ დამატებითი და ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსზე, როგორცაა წყალი.

ნია მურადაშვილი სსიპ ვასილ ბარნოვის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ტრენინგი იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა თითოეული ჩვენგანი ვალდებული ვართ გავუფრთხილდეთ მას. ახლა ვხვდები, რომ როცა ონკანში წყალი მოედინება უმიზეზოდ და ფუჭად, იმაზე დიდი დანაკარგია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ჩატარებული ტრენინგები ძალიან აუცილებელია, რადგან მე ამ ტრენინგების შემდგომ მივხვდი, რომ წყალი არ უნდა გამოვიყენო ფუჭად. კარგი იქნება, კიდევ ჩატარდეს ტრენინგები სხვა თემებთან დაკავშირებითაც. დიდი მადლობა ამ საინტერესო ტრენინგებისთვის!

სალომე ედიშერაშვილი სსიპ ვასილ ბარნოვის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე

თეთრიწყაროში ჩატარებული ტრენინგი ძალიან საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის მომცემი იყო. მოსწავლეებს მოგვეცა საშუალება, მიგველო პასუხები იმ კითხვებზე, რაც ამ საკითხთან მიმართებით გაგვაჩნდა. წყალი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსია და ვფიქრობ, ყველას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია წყლის ინჟინერიასთან დაკავშირებით. ეს ტრენინგი კარგი საშუალება იყო ამ ინფორმაციის მისაღებად. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ პირს, ვინც ამ ტრენინგის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა და უშუალოდ უძღვებოდა მას.

დარინა მონადირიშვილი
სსიპ ვასილ ბარნოვის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ კოდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

თეთრიწყაროში ჩატარებული ტრენინგ-კურსი იყო ძალიან საინტერესო და მრავლისმომცველი. გავიგეთ უამრავი ახალი რამ წყლის რესურსების შესახებ.

გავიზრეთ ის ფაქტი, რომ წყალი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რესურსია და მრავალი კუთხით გამოიყენება ყოფა-ცხოვრებაში.

გავეცანით საინტერესო ფაქტებს წყლისა და ენერგეტიკის შესახებ, რაც ჩემთვის ახალი იყო და მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ ამ ცოდნას.

ანი ხეთაგაშვილი
სსიპ ვასილ ბარნოვის სახელობის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ კოდის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ტრენინგი იყო ძალიან საინტერესო და განსხვავებული. მივიღე ძალიან ბევრი ახალი ინფორმაცია წყლის შესახებ. გავიზრე მისი უდიდესი მნიშვნელობა, ის, თუ რამდენად საჭიროა ადამიანის არსებობისთვის. აუცილებელია, რომ გავუფრთხილდეთ წყლის რესურსებს და მოვიხმაროთ რაციონალურად.

სალომე ტარიელაძე
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროს
საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ძალიან საინტერესო იყო დაგეგმილი ტრენინგი, სხვა რაკურსით დავინახე რესურსების მართვის პროცესი. გავიგე, როგორ მარაგდება მოსახლეობა წყლით, რა სტრუქტურით მიედინება წყალი, რაა საჭირო იმისთვის, რომ მოსახლეობას სუფთა წყალი მიეწოდოს. ამ ტრენინგმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მივხვდი, რომ ონკანიდან უბრალოდ წყლის ხარჯვა დიდ პრობლემებს შეუქმნის წყლის მარაგებს. ვისწავლე და გავაცნობიერე, რომ წყალს ყურადღება, გაფრთხილება და სწორად გამოყენება სჭირდება. დიდ მადლობას ვუხდით ჩემი სკოლის და კლასის სახელით ორგანიზაციას საინტერესო ტრენინგისთვის.

შორენა ზოიძე
გიორგი გურჩიანი
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროს
საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები

ტრენინგიდან მივიღეთ ინფორმაცია წყლის რესურსზე, თუ რა გზას გადის სუფთა სასმელი წყალი, სანამ ჩვენამდე მოვა, როგორ გამოვიყენოთ წყლის რესურსები ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ. გავაცნობიერეთ რესურსების ეფექტიანად გამოყენების მნიშვნელობა. ამ ტრენინგმა სხვა თვალთ დაგვანახა რეალობა. კარგი იქნება, ხშირად ტარდებოდეს მსგავსი ტიპის შეხვედრები, რადგან იგი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ინფორმირებას. დიდი მადლობა ასეთი საინტერესო ტრენინგისთვის!

სარიევა ჭუნაი
ტარიელ კვასტიანი
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროს
საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები

პირადად ჩვენთვის საინტერესოდ იყო დაგეგმილი ტრენინგი. დავინახეთ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეკონომიურად და სწორად რესურსები. გავიგეთ, რომელია წყლით მდიდარი და ღარიბი ქვეყნები.

გავანალიზებთ, რომ ყველაზე დიდი საჩუქარია სწორედ ეს ბუნებრივი რესურსი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებობისათვის, რომ წყალს სჭირდება მოფრთხილება და ეკონომიურად ხარჯვა. გავაცნობიერეთ, რამხელა დანაკარგია, როცა ონკანიდან ფუჭად იღვრება წყალი. თითოეული ჩვენგანის ვალია, მაქსიმალურად მოვუფრთხილდეთ ჩვენი სამშობლოს მდიდარ ბუნებას. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენი სამშობლო წყალუხვია და ეს რესურსები გონივრულად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენს რაიონში ბოლო წლებში მომრავლებული ჰესების (ჰიდროელექტროსადგურების) მშენებლობა და ფუნქციონირება წინგადადგმული ნაბიჯია სამომავლოდ დასაქმების კუთხით, რაც ახალგაზრდებში მოტივაციას ზრდის და ცნობიერების ამაღლების კუთხით დადებით ზეგავლენას ახდენს.

ნიკოლოზ ონიანი
სსიპ ქალაქ თეთრიწყაროს N2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე

ჩვენი სკოლიდან აღნიშნულ ტრენინგს ესწრებოდა ექვსი მოსწავლე. მივიღეთ ინფორმაცია როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ არსებულ წყლის რესურსებთან დაკავშირებით, თუ როგორ ვმართოთ და გამოვიყენოთ ეფექტურად ჩვენი ბუნებრივი რესურსები. სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით და დასაქმების კუთხითაც დიდი მოტივაციაა თითოეული ჩვენგანისათვის, თანატოლებს კი ვურჩევ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მარაგები ეკონომიურად გამოვიყენოთ, რათა მომავალი თაობების არსებობას და განვითარებას საფრთხე არ შეუქმნათ. მადლობა ორგანიზაციას ასეთი საინტერესო ტრენინგისთვის!

სსიპ დაბა მანგლისის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები

დაგვემლი ტრენინგი საკმაოდ საინტერესოდ ჩატარდა, გავიგეთ მეტი სასმელი წყლის ხარისხისა და რესურსების, წყლის მასობრივი დანაკარგისა და საქართველოს წყალუხვობის შესახებ. გავცანით ჩვენს მოვალეობას წყლისა და ენერგეტიკის შესახებ და გავანალიზებთ, რომ სამშობლოს მდიდარი ბუნების გაფრთხილება ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. თეთრიწყაროს რაიონში იწყება ჰესების მშენებლობა და შემდგომ მათი ამუშავება, რაც სამომავლოდ დასაქმების საკითხის გადაწყვეტაზე დადებითად იმოქმედებს, ეს კი გაზრდის ახალგაზრდების მოტივაციას წყალსა და ენერგეტიკასთან დაკავშირებული პროფესიების შესწავლის კუთხით. აღნიშნული ტრენინგების ჩატარება დაგვეხმარება მეტის შეცნობაში, საქართველოს ბუნების მოვლის ვალდებულების წარმატებით შესრულებაში.

ნიკიტა ჩიტიშვილი
სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისის N1 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ყველამ ვიცით, რომ საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ არ გვიფიქრია იმაზე, რომ ოდესღაც შეიძლება ამოიწუროს წყლის რესურსი და დასალევი წყლის დიდი დეფიციტი შეიქმნას. სწორედ ამაზე დამაფიქრა ტრენინგმა, რომელიც ძალიან საინტერესოდ წარიმართა, გავცანი ბევრ ახალ ინფორმაციას წყალსა და მის რესურსებზე, ასევე იმას, თუ როგორ მოდის იგი ჩვენამდე, რა გზებსა და კვლევებს გადის. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროებია წყალმომარაგება-კანალიზაციის სექტორი, თბოენერგეტიკა და მრეწველობა. უნდა ვეცადოთ, სწორად მოვიხმაროთ სასმელი წყალი. უნდა ვიცოდეთ წყლის დაზოგვა, რადგან წყლის რესურსის საჭიროება მუდმივად იზრდება და ეს რესურსი სამუდამოდ შეუზღუდავი არ არის. მსგავსი შემეცნებითი ტრენინგები ყოველთვის და ყველგან უნდა ტარდებოდეს, რათა საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით სრულ ინფორმაციას ფლობდეს, რომ შემდგომ სწორად წარიმართონ სასმელი წყლის რესურსის მოხმარება.

ნინო გუგუნაშვილი-სუხიტაშვილი
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ საცხენისის
საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის პედაგოგი

პროექტმა თავის მიზანს მიაღწია, მოსწავლეები დაინტერესდნენ სასმელი წყლის ხარისხის შესწავლის საკითხებით, ენერგოეფექტიანობისა და ენერჯის დაზოგვის თემებით. მე, როგორც პედაგოგმა, დავგეგმე, მოსწავლეებთან ერთად ჩავატარო კვლევა ჩვენი სოფლის სასმელი წყლის ხარისხის შესახებ. ასევე ამ პროექტში მონაწილე მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია გააცნონ თავიანთ თანატოლებს, რამაც მოსწავლეებში დიდი ინტერესი გამოიწვია. უკეთესი იქნება, თუ მოსახლეობა სწორად იქნება ინფორმირებული ჰიდროელექტროსადგურების მუშაობის პრინციპის შესახებ, რათა საკუთარი რესურსები საქართველომ ბოლომდე აითვისოს და ნაკლებად ვიყოთ დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე.

მარიამ გუგუნაშვილი
სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ საცხენისის
საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

ჩემთვის საინტერესო იყო ჰიდროელექტროსადგურების სახეობების მრავალფეროვნება და მათი მუშაობის პრინციპი. ტრენინგის დასრულების შემდეგ ამ ინფორმაციით დავაინტერესეთ ჩვენი თანასკოლელები და სურვილი გამოთქვეს, მონაწილეობა მიეღოთ მასწავლებლის მიერ დაგეგმილ კვლევაში ჩვენი სოფლის სასმელი წყლის ხარისხის შესწავლის შესახებ. ასევე, დიდი ინტერესის გამო, ერთ-ერთი უახლოესი ჰიდროელექტროსადგურის მუშაობის პრინციპის უკეთ გასაცნობად დაიგეგმა ექსკურსია საცხენისში. მადლობა ტრენინგებს ტრენინგის საინტერესოდ ჩატარებისთვის!

სოილი ალახვერანოვა
სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახტანგისის
№2 საჯარო სკოლის მოსწავლე

გავიგე, ერთი ადამიანი რამდენ ლიტრ წყალს მოიხმარს დღე-ღამის განმავლობაში, მოვისმინე ჰესების მშენებლობის შესახებ ისტორიები. ძალიან დავინტერესდი მდინარეებზე მოწყობილი კაშხალების მუშაობის პრინციპით. საინტერესო იყო სხვადასხვა ისტორიის/ლევენდის მოსმენა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ.

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები მადლობას ვუხდით პროექტის ორგანიზატორებს ასეთი საინტერესო შეხვედრებისთვის!

ესმა მოსიაშვილი
სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახტანგისის
№2 საჯარო სკოლის დირექტორი

მოსწავლეებმა გაიარეს ძალიან საინტერესო ტრენინგ-კურსი წყლის რესურსებზე. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტრენინგზე მიღებული ინფორმაცია წყლის დაბინძურებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რაც პრობლემების თავიდან ასაცილებლად, გარემოს დაცვის თვალსაზრისით, კეთდება, ძალიან სასარგებლოა ყოველდღიურ ცხოვრებაში გასათვალისწინებლად.

ლაზარე ზურაბიანი ლევან დევდარიანის სახელობის ქ. გარდაბნის N1 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე

მართალია, ჩვენი ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ უნდა გავუფრთხილდეთ წყალს და ყაირათიანად მოვიხმაროთ, რადგან 2050 წელს, სავარაუდოდ, იქნება წყლის დეფიციტი.

შეხვედრაზე მიღებული ცოდნა ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგში: გავუზიაროთ თანაკლასელებს, მეგობრებს, თუნდაც ოჯახის წევრებს. ყველას ვურჩევთ, გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ მარაგებს, ეკონომიურად გამოვიყენოთ, რათა საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობას. მადლობას ვუხდით ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრს საინტერესო ტრენინგის ჩატარებისათვის!

ლალი იაკობაშვილი სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის დირექტორი

ინტერესი და ჩართულობა ტრენინგებში მოსწავლეების მხრიდან იყო მაღალი. მოსწავლეების მოლოდინი გამართლდა, საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო მათთვის.

სასურველია ასეთი ტრენინგები სხვა სკოლების მოსწავლეებისთვისაც ჩატარდეს, რათა მათ ისწავლონ წყლის რესურსების სწორად გამოყენება და აიმაღლონ ცნობიერება სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ.

ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

საინტერესო ტრენინგი, რომელიც წარმოდგენილი იყო მოცემული პროექტის ფარგლებში, ძალიან ინფორმაციული და საჭიროა უფროსკლასელთათვის, ვინაიდან სასკოლო პროგრამაში ეს თემები არ გვხვდება და არაფორმალური განათლებაც ამ კუთხით რეგიონებში საკმაოდ დაბალია. ტრენინგების პროცესში მოსწავლეების მოლოდინი გამართლდა, ვინაიდან ინტერესი აღნიშნულ ტრენინგთან დაკავშირებით იყო მაღალი და მათთვის მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით ისეთ თემებზე, როგორებიცაა:

- სასმელად ვარგისი წყლის რესურსები მსოფლიოსა და საქართველოში,
- სასმელი წყლის დაბინძურების ტიპები, მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და პრობლემის გადაჭრის გზები,
- რა გზას გადის სასმელი წყალი ჩვენს ონკანებამდე და როგორ ფუნქციონირებს წყალარინების სისტემა.

გარდა იმისა, რომ თემები იყო ძალიან საინტერესო და საჭირო, აღსანიშნავია ტრენინგების როლი ინფორმაციის იდეალურად მოწოდების პროცესში.

სასურველია, ასეთი სახის ტრენინგები სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვისაც ჩატარდეს და ასევე გაგრძელდეს მომავალ წლებშიც, მათ შორის, უფროსი თაობისთვის, რათა ისწავლონ წყლის რესურსის სწორად გამოყენება და აიმაღლონ ცნობიერება სასმელი წყლის ხარისხისა და წყლის რესურსების შესახებ.

1.

MEANING AND RESULT OF THE PROJECT

The project "Raising Awareness of Youth of the Regions on Drinking Water Quality and Water Resources" (hereinafter - the project) is important in its content. On the one hand, the youth of the regions received qualified information about the topics related to drinking water quality and water resources, and on the other hand, the civic self-awareness of the youths on the mentioned issues was raised, based on the acquired knowledge. This initiative is one of the best examples of an educational project.

